№31 2015 წლის 16 იანვარი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 9 დეკემბრის №1129 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საპრივატიზებო პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 მარტის №341 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, ბათილად იქნეს ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 მარტის №341 განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 9 დეკემბრის №1129 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საპრივატიზებო პირობების დადგენის შესახებ“.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა

პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**